საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

მ ო ა მ ბ ე

B U L L E T I N

№2(40)

თბილისი-TBILISI-2018

UDC (უაკ)63+338.4+664](08)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES

მ ო ა მ ბ ე

(სამეცნიერო შრომათა კრებული)

B U L L E T I N

(Scientific Papers)

№2(40)

საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებული

International Scientific-Methodological and Applied Referenced Scientific Papers

სამეცნიერო შრომათა კრებული გამოდის 1992 წლიდან.
გამოიცემა წელიწადში ორჯერ.
Collection of Scientific Papers is published since 1992.
Published twice a year.

p.593-20-07-93; 599-22-75-50.
E-mail: areal55555@gmail.com
E-mail:acad.as@gaas.dsl.ge,
www. gaas.dsl.ge

ISSN 1512-2743

გამომცემლობა "აგრო"
თბილისი-2018
Publisher " Agro"
TBILISI-2018

გურამ ალექსიძე
სარედაქციო–სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ჯაფარიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ო.ქეშელაშვილი (საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, რ.კოპალიანი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, გ.პაპუნიძე, თ. რევიშვილი, გ.ტყემელაძე, ზ.ფუტკარაძე, ნ.ქარქაშაძე, თ.ყურაშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ნ.ჩხარტიშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, რ.ჯაბნიძე, ნ.ჭითანავა, ა.გიორგაძე (აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე).

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

პროფესორები: ვლადიმერ ლოგინოვი (ბელორუსია), იაროსლავ გაზდალო (უკრაიანა), რაიჩო გეორგიევი (ბულგარეთი), ვიტალი კუჩერიავი (უკრაინა), ნიკოლოზ პოვოზნიკოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), გჟეგოჟ როჩკა (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი),სოკ-იონგ ლი (კორეა), აზიმხან სატიბალდინი (ყაზახეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი) ზეინალ აკპაროვი (აზერბაიჯანი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

გ.ალექსიძე-მთავარი რედაქტორი, გ.ჯაფარიძე-მთავარი რედაქტორის მოადგილე, ო.ქეშელაშვილი-პასუხისმგებელი რედაქტორი, ე.შაფაქიძე, ა.გიორგაძე.

G.Aleksidze,

The Head of Editorial-Scientific Board, Doctor of Biological Sciences, Professor, Academician, President of Georgian Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of Georgian Academy of Agricultural Sciences: G.Japaridze (Deputy Head of Editorial-Scientific Board), O.Keshelashvili (Secretary of Editorial-Scientific Board)), J.Gugushvili, J. Katsitadze, N. Karkashadze, R.Kopaliani, T.Kurashvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G.Papunidze, Z.Phutkaradze, T.Revishvili, G.Tkemaladze, R.Chagelishvili, Z.Chankseliani, N.Chitanava, N.Chkhartishvili, E.Shapakidze, Z.Tskitishvili, R.Jabnidze, A.Giorgadze (Deputy President of the Academy).

Foreign members of Editorial–scientific Board:

Professors: V. Loginov (Belarus), I. Gadzalo (Ukraine), R. Georgiev (Bulgaria), V. Kucheriavy (Ukraine), N. Povoznikov (Ukraine), I. Piculi (Poland), G. Rochka (Poland), J. Kania (Poland), A. Lepiarczyk (Poland), Soc-Yong Lee (Korea), A. Satibaldin (Kazakh), P. Tzenov (Bulgaria), Z.Akparov (Azerbaijan), S. Salakhov(Azerbaijan), G.Gadjiev (Azerbaijan).

Publishing Board:

G.Aleksidze (Editor in-chief), G. Japaridze (Vice chief editor), O. Keshelashvili (Deputy editor), E.Shapakidze, A.Giorgadze.

ხორბლის წარმოების სტრატეგია, პრიორიტეტები და პროგნოზი საქართველოში

გურამ ალექსიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, აკადემიკოსი,
ომარ ქეშელაშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, წარმოება, ტექნოლოგია, მეთესლეობა, ექსპორტ-იმპორტი, სტრატეგია, პრიორიტეტები, სახელმწიფოებრივი რეგულირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, პროგნოზი, პერსპექტივა.

რეფერატი

აღნიშნულია, რომ ხორბალი საქართველოში განსაკუთრებული, სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რასაც განაპირობებს მისი მდიდარი ისტორია, დიდი აგრონომიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 20 სახეობიდან 12 სახეობის სამშობლოა წინა აზია, ხოლო 8 სახეობა წარმოიშვა სამხრეთ კავკასიიდან. მათგან 5 საქართველოს ენდემია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო სისტემაში გამოკვეთილი პოზიცია უკავია მემარცვლეობას, კერძოდ ხორბლის წარმოებას, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას და მის მომავალზე ორიენტირებულ განვითარებას პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს (საშუალოდ, ათას ტონობით): ხორბლის საკუთარი რესურსი შეადგენს 75.0, იმპორტი-651.0 მთლიანი რესურსი (მარაგის ჩათვლით)-796.0.

ამის შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოიხმარება 110კგ ხორბალი (ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით 87,3%), ხოლო იწარმოება მხოლოდ 18 კგ.

საქართველოს მოსახლეობა წელიწადში 700-800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს, ქვეყანაში კი ხორბლის წარმოების მაჩვენებელი (მოხმარების მიმართ, 8-10%-ია (75-80 ათასი ტონა, 50-52 ათასი ჰა-დან), დანარჩენი უცხოეთიდან შემოდის.

ხაზგასმულია მეთესლეობისა და ჯიშთა გამოცდის განვითარებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

საქართველოში, მარცვლეული მეურნეობის განვითარება და ხორბლის წარმოება ორიენტირებული უნდა იყოს საბაზრო ურთიერთობათა მოტივაციებისა და მოთხოვნების შესაბამის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე.

ეკონომიკური პარამეტრების გათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ: ოპტიმიზირებული ვარიანტით, 2025 წლისათვის, საშემოდგომო ხორბლის ფართობის ოპტიმალურ ზღვრად მიჩნეულია: 114,0 ათასი ჰა, მოსავლისა-421,8 ათასი ტონა. ამ პერიოდისათვის, ხორბალი დიდი მოცულობით წარმოებული იქნება კახეთში, 2025 წელს საქართველოში მოსალადნელი წარმოების 45,7 %, შიდა ქართლში-23,0 %, ქვემო ქართლში-20,2 %.

ხორბლის წარმოების სტრატეგიას უშუალოდ უკავშირდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების საკითხი. საქართველოს ამ მხრივ ორი ეტაპი აქვს გასავლელი: 1 ეტაპი არის გარდამავალი პერიოდი. ამ დროს ხდება მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა. მე–2 ეტაპი არის წმინდა ეკოლოგიური წარმოება.

ხორბლის წარმოების სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივ რეგულირებას. ამას, მეცნიერულ საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, მეცნიერთა ერთობლივი მონაწლეობით, საგანგებოდ, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად დამუშავებული კომპლექური მიზნობრივი პროგრამა „მარცვალი“-(სახელმწიფოებრივი პროგრამული რეკომენდაციები და პრიორიტეტულ-სტრატეგიული მიმართულებები მარცვლეული მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის).

აღნიშნული პროგრამა გამოცემულია წიგნად და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მისი, აგრეთვე შესაბამისი ელექტრონული ვერსიის გამოყენება.

Strategy, Priorities and Forecast of Wheat Production in Georgia

Guram Aleksidze-President of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician,
Omar Keshelashvili-The Secretary of Economic Scientific Department of Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician

Key Words: wheat, production, technology, seed production, export-import, strategy, priorities, state regulation, ecologically pure production, prognosis, perspective

Abstract

Wheat in Georgia is a strategic agricultural culture and it has a long history of development as well as a significant economic importance. Out of 20 species of wheat known in the world, the origin of 12 species is Asia, and 8 of them come from the South Caucasus, out of which 5 is Georgian endemic wheat.

Wheat production occupies one of the leading positions in Georgian Agriculture and is credited to be a guarantor of food safety in the country.

According to official data, the country produces 75 thousand tons per year and imports 651 thousand, so the total amount of wheat is 796 thousand tons. Wheat consumption per person is 110 kg (in compare with physiological norm - 87,3%), but actual production is only 18 kg per person. Georgian population consumes 700-800 thousand tons, and the country produces only 8-10 % of it, the rest amount is imported from abroad.

The article also highlights the importance of development of seed production and testing of species.

Expansion of wheat production in Georgia should be based on market demand and safe, sustainable development. Based on estimations, it has been defined that by 2025, the average optimal size of wheat area will be 114. thousand hectares, and the crop will reach 421,8 th, tons. By that time, the wheat crop will increase in Kakheti region, in 2025, and reach 45,7%; in Shida Kartli expected growth will reach – 23,0%, and in Kvemo Kartli – 20,2%.

The wheat production is closely connected with the ecologically pure product manufacturing. From this point of view, Georgia has to pass two stages: 1. Transition period: implementation of integrated system of plant protection will take place. Stage 2. Development of ecologically pure production will be maintained.

State regulation is important for wheat production stability and sustainability, which should be attained through scientific researches, particularly by a complex target program “Grain” worked out by the Academy of Agricultural Sciences. The program represents state recommendations and prioritisizes strategic directions for sustainable and safe development of grain cultures in Georgia. The document has been published in one volume, also electronic version of the book is available.

მეთესლეობის ძირითადი დებულებები და სამრეწველო მეთესლეობის ორგანიზაციის პრინციპები

გივი ჯამბურია: სოფლის მეურნების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: კარტოგრამა, ნიადაგის რუკები, სუპერელიტა, ელიტა, რეპროდუქცია.

რეფერატი

სტატიაში წარმოდგენილია მეთესლეობის ორგანიზაციის ძირითადი დებულებები; სამრეწველო მეთესლეობის პირობებში სათესლე მასალების წარმოების საკითხები ინდუსტრიული მეთოდების საშუალებით; გამახვილებულია ყურადღება თესლის შენახვისათვის მექანიზებული კოპლექსური პუნქტების გამოყენებისა და მსხვილი ფერმერულ მეურნეობებში სპეციალიზებული სათესლე მეურნეობის შექმნის აუცილებლობაზე.

The main provisions of the methodology and principles of the organization of industrial methods

G. Gamburia-Doctor of Agricultural Sciences, Professor

Key words: soil maps, super elite, elite, reproduction.

Abstract:

The basic provisions of a seed organization are told. Industrial production of the seed materials with the use of industrial methods in the conditions of industrial seeding. The necessity of use of mechanical complex paragraphs and large farming specialized seed farm creations for seed preservation.

თუთის ჰიბრიდული ნერგების მიღების ახალი ტექნოლოგია

ნ.სტეფანიშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ა.წვერიკმაზაშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თ.მეტრეველი-აგრონომი

საკვანძო სიტყვები: თუთა, ნერგი, პლანტაცია, გამრავლება,თესლი

რეფერატი

თუთის ჰიბრიდული ნერგების მიღების ახალი ტექნოლოგია გულისხმობს თესლის დამზადებისთანავე თესვას/ ივნისი-ივლისი/, პლასმასის კონტეინერის ჰუმუსიან ნიადაგში. მეორე წლის ადრე გაზაფხულზე უნდა მოხდეს მისი გადარგვა ღია გრუნტში, ხოლო მე-3 წელს პირველი ფოთლის დამზადება. აღნიშნული ტექნოლოგიით ერთი წლით მცირდება ჰიბრიდული ნერგებიდან ფოთლის დამზადების ვადა და მიიღება სუფთა, უნაყოფო აბრეშუმის ჭიის საკვები მასა, რომელიც გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირსებით. ასეთი ტექნოლოგიით გაშენებული ინტენსიური პლანტაცია შემდგომ წლებში ყოველწლიურად უნდა გადაიჭრას გაზაფხულზე ფესვის ყელიდან 10 სმ სიმაღლეზე.

New technology for mulberry hybrid seedlings

N. Stephanishvili- Academic Doctor of Agriculture,
A. Tsverikazashvili-Academic Doctor of Economic,
T.Metreveli- Agronomist

Key words: Mulberry, Nursery, Plantation, Multiplication, Seeds

Abstract

New technology for mulberry hybrid seedlings implies sowing seeds (June-July) potassium container in humusous soil immediately before the seed production. In the spring of the second year, it should be transplanted into the open ground and the first leaf in the 3 rd year. This technique reduces the production of leaf from hybrid seedlings for a year and is adopted by a clean, unattached silk worm feed that is distinguished with high nutritional value. Intensive plantation planted with such technology, should be resolved annually in the spring at 10 cm from the roots of the height.

სელექცია და გენეტიკა
Breeding and Genetics

მანდარინის-Citrus Reticulata Bl. ნაყოფის სამედიცინო სარგებელი

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
ც.ათამაშვილი

საკვანძო სიტყვები: ციტრუსოვნები,მანდარინის ნაყოფი,შემადგენლობა,სამკურნალო ხილი

რეფერატი

ნაშრომში გაშუქებულია ადამიანის ჯანმრთელობთან დაკავშირებული ციტრუსოვანთა ნაყოფის მნიშვნელობის საკითხები. მოცემულია მანდარინის ნაყოფის ბიოქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები. დასაბუთებულია მისი განსაკუთრებული როლი მედიცინაში-ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

გატარებულია აზრი იმის შესახებ,რომ მეთოდური სელექცია ზრდის შესაძლებლობებს მანდარინის ნაყოფის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების გაუმჯობესებისათვის.

Tangerine citrus Reticulata Bl.The medical use of the fruit

Z.Bukia – Academic doctor of Agriculture,
Ts. Atamashvili

Key words: Citrus**,** the fruit of Tangerine, ingredients curable fruit.

Abstract

There are some issues covered in the work related to citrus fruit importance for a human being's health. The indications of the tangerine fruit bio-chemical ingredients are given in the work. The significant role of tangerine in Medicine has been proved – to improve the health of a man.

The idea has been underlined that methodical selection favors to grow the possibilities tangerine fruit organoleptic to improve the characteristics.

ფორმათა მრავალფეროვნება მანდარინის-Citrus Reticulata Bl. ნუცელარულ თაობაში

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ნუცელარული ნათესარი, ნუცელარული სელექცია, ფორმათა მრავალფეროვნება, აპომიქსისი

რეფერატი

ნაშრომში მითითებულია იმის შესახებ, რომ ციტრუსოვნებისათვის დამახასიათებელია აპომიქსისის ფორმათაგან ერთი- ნუცელარული პოლიემბრიონია,როცა ნუცელუსის სომატური უჯრედებისაგან ვითარდება ერთი ან რამდენიმე დამატებითი ჩანასახი.

ახსნილია ციტრუსოვანთა (მათ შორის მანდარინის) ნუცელარულ თაობაში ფორმათა მრავალფეროვნების წარმოშობის მიზეზები.

მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსოვნებში აპომიქსისს ადვენტური ემბრიონიის ფორმა აქვს-დადგენილია ნათესარების ცვალებადობის ფაქტი.

Forms variety of TangerineCitrus Reticulata Bl in Nucellar generation

Zurab Bukia – Academic doctor of Agriculture

Key words: Nucellar seedlings, Nucellar selection, variety of forms, apomixes

Abstract

The work highlights one of the form of orange nature apomixes - nucellar polyembryony while from nucellar somatic cells one or more additional Embryo is about to develop.

The Reasons of various forms origin in nucellar generation of citrus (tangerines among them) has been explained.

Although, apomixes in citrus have the form of adventive embryo- fact of seedlings variation has been determined.

სუბტროპიკულ მცენარეთა მეთოდური სელექცია-მათში ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნაერთების შემცველობის რეგულირების გარანტი

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სუბტროპიკული კულტურები, ბიოაქტიური ნაერთები, მედიცინა, სელექცია

რეფერატი

მონაცემები, რომელიც მოტანილია ნაშრომში, წარმოადგენს მრავალ სუბტროპიკულ კულტურაზე (ნედლეული, მზა პროდუქცია) ჩატარებული კვლევის შედეგებს. დადგენილია საკვლევ მცენარეებში ბიოაქტიური ნაერთები შემცველობის რეგულირების გზები. მცენარე წარმოჩენილია, როგორც ერთ-ერთი მძლავრი გარანტი მრავალი დაავადების პრევენციისა და წარმატებული მკურნალობისა. ეს მაშინ, როცა მცე–ნარეული ნედლეულისაგან მიღებული პრეპარატებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი უარყოფითი გვერდითი მოვლენები..

ბუნებრივია, მეთოდური სელექციის წარმოებისას მაქსიმალური შედეგის მიღწევა შესაძლებელია სელე–ქციის კლასიკური მეთოდების ცოდნითა და მათი წარმოების დონით. სასურველი შედეგის მიღწევა დიდადაა დამოკიდებული სელექციონერის კვალიფიკაციის დონეზე.

Subtropical plants methodological selection- the guarantee to regulate in them useful mixture consistence for human health

Z.Bukia–Academic doctor of Agriculture

Key words: Subtropical cultures, Bioactive compounds,,medicine,Selection.

Abstract

The facts given in this work represent the results of research on subtropical cultures (raw and ready materials)

The ways are found to regulate bioactive mixtures consistence of researching plants . The plant is introduced as one of the strongest guaranty of preventing a lot of diseases and successful treatment as it's less characterized for medicines produced by raw materials to have side affect.

It's natural that during methodological selection it's possible to achieve results with the knowledge of classical methods and producing level.

To achieve the desirable result is depended on selectionist's qualification level.

მანდარინის - Citrus Reticulata Bl. კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი

ზურაბ ბუკია -სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: მანდარინი, ტაქსონომიური ერთეული, კლასიფიკაცია

რეფერატი

ნაშრომში მოცემულია მანდარინის კლასიფიკაციის ძირითადი საკითხები, რომელიც განხილულია ზოგადად ნარინჯოვანთა კლასიფიკაციისადმი წაყენებული მოთხოვნების ფონზე-ზუსტად განისაზღვროს და დადგინდეს ამა თუ იმ ფორმის, ჯიშისა თუ სახეობის ადგილი შესაბამის ტაქსონომიურ ერთეულში, დადგინდეს ევოლუციის გზები, ფილოგენეზური კავშირი ნარინჯოვანთა თანამედროვე მცენარეებსა და მათს წინაპრებს შორის, ზუსტად მიეთითოს ამა თუ იმ ფორმის წარმოშობის კერებზე და ბუნებრივი გავრცელების არეალზე, დადგინდეს გარკვეული ფორმებისა და ინდივიდების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ადა–მიანთა მიერ მათი გამოყენების ხასიათი.

მითითებულია კლასიფიკაციის ევოლუციურ საფუძველზე, რომელიც მოითხოვს სისტემაში ერთე–ულების ისეთ განლაგებას, რომელიც პასუხობს მათი ევოლუციური განვითარების გზებს.

Tangerine - citrus Reticulata Bl Some moments of classification

Zurab Bukia- Academic doctor of Agriculture

Key words: Tangerine, Taxonomic unit, classification

Abstract

The main moments of Tangerine classification is given in the work that is generally discussed on the back-ground on the orange classification demands – to define exactly and state the place of any form, breed and kind in appropriate taxonomic unit, the ways of evolution are to state, phylogenetic connection between orange modern plants and their ancestors the exact hub of origin and spread area; should be pointed at, the importance of public-agricultural individuals and certain forms to be stated and the nature of their usage.

On the bases of evolution it is pointed at that needs such layout of the units in the system that responds to their ways of developments.

რბილი ხორბლის ადგილობრივი და სელექციური ჯიშების მრავალფეროვნებაში მოსავლის ელემენტებისა და ცილის შემცველობის ცვალებადობა

მირიან ჩოხელი,
თამარ ახალაძე

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, ჯიში, გენოტიპი, ადგილობრივი, სელექციური, ცდა, მახასიათებლები.

რეფერატი

სტატიაში წარმოდგენილია რბილი ხორბლის სელექციური და ადგილობრივი ჯიშების და ფორმების მოსავლის ელემენტების და მარცვალში ცილის შემცველობის შესწავლის შედეგები. მინდვრულ ცდაში შეისწავლეთ ხორბლის 50 გენოტიპი, რომლებიც შემდგომ შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც სელექციურ პროგრამებში ასევე სამეურნეო დანიშნულებით.

Genetic variation of several bread wheat (Triticum aestivum L.) local and bred variety genotypes based on some yield components and protein content

Mirian Chokheli,
Tamar Akhaladze

Key words: Wheat, variety, genotype, local, trial, breeding, characteristics.

Abstract

Bread wheat is one of the most important crops in Georgia. High yield and grain quality such as protein content are the most important targets in wheat breeding. The genetic diversity of 50 bred and local common wheat (*Triticum aestivum L.*) genotypes was evaluated by 9 agronomical and biochemical traits: number of days to heading and maturity (1) (2), plant height (3), spike length (4), number of spikelet per spike (5), kernel number per spike (6), kernel weight per spike (7), thousand kernel weight (8), protein content (9). Field trial was carried out in the experimental field at Sarthichala station. Studied genotypes could be important genetic resources for including them in breeding programs also they could be used for high quality bread production.

მევენახეობა
Viticulture

ნაკლებად გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშების აგროკლიმატური მოთხოვნები

თამარ ვახტანგაძე-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ვაზის ჯიში, ფენოლოგიური ფაზები, ტემპერატურათა ჯამი, ვერტიკალური ზონალობა.

რეფერატი

ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოში ნაკლებად გავრცელებული ვაზის ჯიშების ტემპერატურათა ჯამისადმი მოთხოვნილება. მოცემულია დასავლეთ საქართველოს აგროკლიმატური დახასიათება და ჯიშების მიხედვით სხვადასხვა მიმართულების პროდუქციის საწარმოო ზონების სიმაღლითი საზღვრები.

Agroclimatic features of the limited spread aboriginal varieties of grapevine

Tamar Vakhtangadze-Academic Doctor of Agriculture

Key Words: Phenological phases, varieties, vertical zones.

Abstract

The correlation between temperature parametres and main phenological phases for native varieties of grapevine, based on studding of their agronomic and technological characteristics, are given in this article.The temperature requirerments of for each variety are determined, that provides basics for identification their proper vertical cultivation zones in west Georgia.

ველური ვაზის *Vitis vinifera ssp sylvestris* Gmel. (Beck.) ამპელოგრაფიული და ფენოლოგიური ფაზების მსვლელობის შესწავლა ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე

შენგელი კიკილაშვილი-აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის სპეციალისტი,
ლევან უჯმაჯურიძე-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი,
ლონდა მამასახლისაშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, სოფლის მეურნობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი სამსახურის მთავარი სპეციალისტი,
შალვა კენჭიაშვილი-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი სამსახურის აგრონომი.
დავით მაღრაძე-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

საკვანძო სიტყვები: ველური ვაზი, ამპელოგრაფია, ფენოლოგია.

რეფერატი

საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც გააჩნია 8000 წლიანი კულტურა მევენახეობა-მეღვინეობაში, ჯიშური მრავალფეროვნება და ველური ვაზის გავრცელება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. სტატიაში განხილულია საქართველოს ველური ვაზის Vitis vinifera ssp. sylvestris Gmel. საკოლექციო შესწავლის შედეგები, რომელიც განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჯიღაურას საკოლექციო ბაზაზე და კავკასიის საერთაშორისო უნივერიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტზე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. მასში წარმოდგენილია 28 ველური ვაზის ფორმის და 2 საკონტროლო ჯიშის (საფერავი და კაბერნე სოვინიონი) შესწავლის შედეგები, რომელიც შესრულდა საერთაშორისო მეთოდიკების გამოყენებით - კერძოდ: ველური ვაზის 28 ფორმის ამპელოგრაფიული დახასიათება „ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ინსტიტუტის“ (OIV*) მეთოდიკის შესაბამისად და განვითარების ფენოლოგიური ფაზების მსვლელობის აღრიცხვა.*

Ampelographic and phonological study of Genotypes of Wild Grapevines *Vitis vinifera* ssp. *sivestris* Gmel. in the Jighaura Germplasm Repository

Sh. Kikilashvili, L. Ujmajuridze, L. Mamasakhlisashvili, Sh. Kenchiashvili, D. Maghradze

Key words: Wild vine. Ampelography. Phenology

Abstract

Georgia is one of the oldest country of the World in which the history of wine making and viticulture began 8000 years ago. The country owns 525 autochthonous varieties of grapes taking the starting point from the wild grape *Vitis vinifera* ssp *sylvestris* Gmel. That is why the investigation of the wild grapevine has crucial purpose to learn biodiversity of this plant, to describe its ampelographic diversity and trying to make strategy about preservation. In this article are provided the results of investigation of 28 genotypes of wild grapevine, originated from Kakheti, Kartli and Lechkhumi provinces of Georgia and planted in Jighaura collection of the Scientific – Research Center of Agriculture. The study has been done by the modern methods of ampelography, phenology, in 2017 and 2018. Two well-known cultivars Saperavi (N) from Georgia and Cabernet Sauvignon (N) from France have been used as a control varieties. The research was done at Caucasus International University and the Scientific – Research Center of Agriculture during 2017-2018 vegetative seasons and has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation.

მეციტრუსეობა და სუბტროპიკული კულტურები

Citruce and Subtropical crops

საადრეო მანდარინის პერსპექტიული კლონების ბიოქიმიური დახასიათება

ვ. ქობალია-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მანდარინი, კლონი, ფენოლოგია, პროდუქტიულობა, ნაყოფების ხარისხი.

რეფერატი

ინტენსიური ტიპის მეციტრუსეობა ადრემწიფად, მაღალმოსავლიან, მაღალხარისხიან, ყინვაგამძლე და მავნე ორგანიზმებისადმი იმუნურ ჯიშებს მოითხოვს, რომლის მიღწევის ერთ-ერთი მეთოდია კლონური სელექცია. ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში (სენაკის რაიონი, ქ. ქუთაისი) მანდარინის სამეურნეოდ ძვირფასი 53 კლონიდან, ყველაზე პერსპექტიულის გამორჩევის მიზნით, შესწავლილ იქნა საკვლევ მცენარეთა ზრდა-განვითარების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა, ნაყოფების ადრემწიფადობა, მოსავლიანობა, ბიოქიმიური შედგენილობა.

გამოვლინდა, რომ საადრეო ჯიშის კლონები ვეგეტაციას იწყებს 4-5 დღით ადრე და ნაყოფებს ამწიფებს საშუალოდ 20-25 დღით ადრე-ძირითადად ოქტომბრის მეორე ნახევარში. პროდუქტიულობის მიხედვით ადრე და საშუალომწიფად კლონებს შორის არ არის არსებითი განსხვავება. გვიანმწიფადი კლონები ავლენენ მაღალ პროდუქტიულობას, მაგრამ ამ ჯგუფის მცენარეებში მკვეთრადაა გამოხატული ნაყოფმსხმოიარობის პერიოდულობა.

შეწავლილი კლონებიდან ნაყოფმსხმოიარობისა და ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყველაზე პერსპექტიულია ადრემწიფადი კლონი №200253 და საშუალომწიფადი კლონი №2002246. მათი სწრაფი გამრავლება და წარმოებაში დანერგვა, საადრეო მანდარინის პლანტაციების მოსავლიანობისა ამაღლების და ნაყოფების ხარისხის გაუმჯობესების ეფექტური საშუალება იქნება.

Biochemical characteristics of tengerine perspective clones

V. Kobalia–Academic doctor of agriculture, Professor

Key words: Tangerine, clone, phenology, productivity, fruit quality.

Abstract

Intensive type of citrus agriculture requires early ripening,high productivity, high quality, frost and parasite resistance immune species. One of the methods of receiving them is clone selection. Phenology phases, early fruit ripeness, productivity, biochemical components of research plants have been studied for selecting the best one from the precious 53 clones in rather sever conditions of citrus cultivation. It has been found out that, clones start vegetation period 304 days earlier and ripen fruit 20-25 days earlier – mainly in the second half of October. According to productivity, there is no difference between early or middle ripen clones. Late ripen clones reveal high productivity, but with periodic one. Among the studied clones, the most perspective with its fruit quantity and quality is early-ripen #200253 clone and middle-ripen one #2002246. Their cultivation and putting into production will be one of the effective means to increase early tangerine plantation productivity and fruit quality.

ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია
Soil Science and Agrochemistry

გორის რაიონის სოფელ შინდისში გავრცელებული ყავისფერი ნიადაგების აკუმულაციურ ფენაში სიმინდის კულტურის ქვეშ კომპლექსური სასუქების და ტერავეტის ზეგავლენა მოძრავი საკვები ელემენტების დინამიკაზე

ნიკოლოზ ასაშვილი - დოქტორანტი,
გიორგი დანელია - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი, კომბინირებული სასუქები, ტერავეტი, ნაყოფიერება, ბიტექნოლოგია.

რეფერატი

სამეცნიერო კვლევის საფუძველზე შესწავლილია გორის რაიონის სოფელ შინდისის ტერიტორიაზე, მდელოს ყავისფერი ნიადაგების პირობებში, სასუქების გამოყენების სისტემა სიმინდის კულტურის პრო–დუქტიულობის ამაღლების მიზნით, როგორც სარწყავი, ასევე ურწყავი ზონისათვის. დადგინდა, რომ სტა–ციონალურ მინდვრის ცდაში, უსასუქო ვარიანტთან შედარებით, ნიტროფოსკისა და განსაკუთრებით სუპე–რაბსორბენტის-ტერავეტის ფონზე, სიმინდის კულტურის ვეგეტაციის პერიოდში, ნიადაგის აკუმულაციურ ფენაში, იზრდება მცენარისათვის შესათვისებელი მოძრავი საკვები ელემენტების (N, P_2O_5, K_2O) შემცველობა, რაც იდენტიფიცირებულია აღნიშნული ნიადაგების სტანდარტის დიაპაზონთან.

Effect of complex fertilizers and Terawet on the dynamics of moving food elements in the accumulation layer of brown soils, under the corn culture, spread in the Gori Region village Shindisi

Nikoloz Asashvili - Doctoral student,
Giorgi Danelia - Academic Doctor of Agriculture

Key words: soil, combined fertilizers, Terawet, fertility, technology.

Abstract

On the basis of scientific research, to improve the productivity of corn culture, in the conditions of brown soils of meadow, the use of fertilizers on the area of Gori Region village Shindisi is studied, as for irrigable, also for unwatered zone. It was established that on the test of the stationary field, compared to unfertilized variant, on the background of nitrophoska and especially superpulsorbent - Terawet, during the vegetation period of corn culture, in the accumulation layer of soil, increases the content of moving food elements (N, P_2O_5, K_2O) usable for the plant which is identified with the diapason of these soils.

К ВОПРОСУ УПРАВЛЕНИЯ И ИССЛЕДОВАНИЯ ПОКАЗАТЕЛЕЙ КАЧЕСТВА РАБОТЫ ПОЧВООБРАБАТЫВАЮЩИХ МАШИН

БЕЖАН БАСИЛАШВИЛИ-Доктор техн. Наук, профессор.
ИГОР ЛАГВИЛАВА-Акад. доктор.
ЗАЗА МАХАРОБЛИДЗЕ-Доктор техн. Наук.
МАМУКА ЦЕЦХЛАДЗЕ-Докторант

Ключевые слова: обработка почвы, процесс, показатели качества,моделирование.

Реферат

Под обработкой почвы подразумевают все операции основной и предпосевной обработки, обеспечивающие наиболее благоприятные условия для получения равномерных дружных всходов и высоких урожаев соответствующих сельскохозяйственных культур.

Выбранная в зависимости от почвенно-климатических условий система обработки почвы должна в наибольшей степени отвечать предъявляемым агротехническим требованиям защиты почвы, ресурсосбережения и охраны окружающей среды. Общие агротехнические требования к операциям основной обработки почвы связаны с обеспечением: требуемой глубины вспашки; полной заделки пожнивных остатков, сорняков и вредителей; необходимой степени рыхления почвы и выровненности поверхности поля.

TO THE QUESTION OF MANAGEMENT AND RESEARCH OF QUALITY INDICATORS OF SOIL PROCESSING MACHINES WORK

BEZHAN BASILASHVILI-Doctor of Tech. Sciences, Professor.
IGOR LAGVILAvA-Acad. doctor.
ZAZA MAHAROBLIDZE-Doctor of Tech. Science.
MAMUKA TSETSKHLADZE-Doctoral student

Key words: soil cultivation, process, quality indicators, modeling.

ABSTRACT

Under the treatment are im-plied all the operations of basic and presowing treatment, which provide the most favorable conditions for obtaining uniform friendly coming-ups and high yields of the corresponding crops.

Selected according to soil and climatic conditions, the soil cultivation system must meet the most demanding agrotechnical requirements for soil protection, resource conservation and environmental protection. General agrotechnical requirements for primary soil processing operations are related to ensuring: the required depth of plowing; full embedding of stubble residues, weeds and pests; the necessary degree of loosening of the soil and the leveling of the field surface.

თავთავიანი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი სათესი

ელგუჯა შაფაქიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ვლადიმერ მირუაშვილი-ტექნიკის აკადემიური დოქტორი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
შორენა ქავთარაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: თესვა, სათესი მანქანა, გამომთესი აპარატი, თესვის სახეები, მოსავალი.

რეფერატი

სტატიაში განხილულია თავთავიანი კულტურების თესვის ფორმები, მათი ნაკლოვანებები და უპირატესობანი. გაანალიზირებულია თავთავიანი კულტურების თესვისას, გამოყენებული გამომთესი აპარატების მუშაობა და მათი ნაკლოვანებანი, რომლის საფუძველზეც დამუშავებულია ახალი გამომთესი აპარატი და თავთავიანი კულტურების სათესი მანქანის სქემა, რაზედაც მიღებულია ორი პატენტი № P 2016 6517 B, „ხელით სათესი მოწყობილობა“ და № P 2016 6535 B, „სათესი მანქანა“. ჩატარებულია სხვადასხვა ფორმით საშემოდგომო ხორბლის ექსპერიმენტული თესვა, რომელმაც უჩვენა, რომ წანაცვლებითი კვადრატულ-ბუდობრივი თესვისას 16 %-ით იზრდება მოსავლიანობა.

Sowing in a grid pattern of cereal crops

Elgudja Shapakidze – Academician of the Academy of Agricultural Sciences of Georgia,
Vladimer Miruashvili - LEPL Scientific-Research Center of Agriculture,
Shorena Kavtaradze - Doctor of Technical Sciences

key words: sowing, seeding machine, apparatus, types of sowing, yield.

Abstract

The article discusses the forms of cereal crops, their deficiencies and the possible forms of sowing and advantages. It is analyzed in the sowing process of cereal crops, the work of sowing machines is used and their deficiencies, based on which the new seeding machine and sowing machine scheme of cereal crops are elaborated and two patents are received: № P 2016 6517 B, "Manual Sowing Equipment" and № P 2016 6535 B, "Sowing Machine ". The experimental sowing of autumn wheat has been conducted in various forms, which showed that during the deposed sowing in grid pattern productivity increases by 16%.

ხიდური აგრეგატის ზოგიერთი ძალურ-ენერგეტიკული მაჩვენებლის გაანგარიშება

რანი ჭაბუკიანი-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ემერიტუსი
თემურ ლეშკაშელი-დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ხიდური აგრეგატი; ამძრავი; ტექნოლოგიური მოდული; კუთხური სიჩქარე; მგრეხავი მომენტი; ინერციის მომენტი; მექანიკური მახასიათებელი; ასინქრონული ძრავა; გარდამავალი პროცესი; ტრანსმისია.

რეფერატი:

ნაშრომში განხილულია ხიდური აგრეგატის, როგორც დაბალდეროიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო მობილური აგრეგატი და მოცემულია მისი ძირითადი ძალურ-ენერგეტიკული პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკა.

Calculation of some of the bridges of the bridge aggregate

Chabukiani Rani - Doctor of Technical Sciences, Professor Emeritus,
Leshkasheli Temur - Doctoral student.

Key words: bridge aggregate, moving, technological module, angular speed, torque moment, inert moment, mechanical characteristic, asynchronous engine, transition process, transmission.

Abstract:

Thus, the bridge aggregate produces a mobile, very complex technique that can be arranged for complex mechanisms for maintenance of low-growing crops on a farmer's area.

Energy energy on the bridge aggregate can be used for electrical energy and types of non-conventional energy (solar, wind, etc.)

The practical calculation method of the energy parameters of the bridge aggregate is determined by the transition processes (braking, acceleration, increasing load, and so on).

მცენარეთა დაცვა
Plant protection

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში საკარანტინო მავნებლის ,,ჭიჭინობელას'' (*Metcalfa pruinosa*) ბიო-ეკოლოგიის შესწავლა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება

ქეთევან თავართქილაძე -ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი,
მარინე ნოზაძე- აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი,
ჯემალ ნაკაიძე- ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ჭიჭინობელა, საკარანტინო მავნებელი, ნიმფა , ინსექტიციდი, ქიმიური პრეპარატები.

რეფერატი

სტატიაში განხილულია საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული მავნებლის- ჭიჭინობელას (*Metcalfa pruinosa*) ბიო-ეკოლოგია და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის პირობებში.

Study of bio-ecology of the quarantine pest "Metcalfa pruinosa" in the National Botanical Garden of Georgia and elaboration of measures to fight against it

Tavartkiladze K-Academic Doctor of Biology,
Nozadze M - Master of Agrarian Sciences,
Nakaidze J- Academic Doctor of Biology

Key words: Metcalfa pruinosa, insecticide, larva, chemical preparation, Quarantine pest

Abstract

The control of harmful diseases and regulation of their harmful quantity is one of the main problems for the modern world. According to the FAO data, the 1/3 of annual crop loss is caused as a result of the impact of pests. In order to reduce losses, it is necessary to protect plants from harmful organisms and to ensure the healthiness of agricultural and forest as well as decorative plants, for this purpose it is necessary to carry out plant protection measures. Metcalfa is a polyphagous pest and eats up to 300 different (decorative plants as well as agricultural crops) woody and herbaceous plants. In the National Botanical Garden of Georgia, Metcalfa is fed with many decorative and weed plants.

საქართველოს წითელი წიგნის ზოგიერთი მცენარის მიკობიოტა

მ. ჭურღულია-შურღაია-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი,
ქ. თავართქილაძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მიკობიოტა, წითელი ნუსხა, მიკროსოკოები

რეფერატი

სტატიაში წარმოდგენილია მოკლე ცნობები იმ მიკროსოკოების შესახებ, რომლებიც საქა–რთველოში პირველად აღინიშნა წითელი ნუსხის ზოგიერთ მცენარეზე, კერძოდ: კავკასიურ გლერძზე, სოსნოვსკის გლერძზე, ასტრაგალზე, ქართულ კოწახურზე, ყამბროზე და თაგვისარაზე. ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეებზე 27 სახეობის სოკოა იდენტიფიცირებული. მათ შორის 25 ასკომიცეტი, 2 ბაზი–დიომიცეტი. სიახლეები მოიცავს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი დანიშნულების საკითხებს.

Mycobiota WITH RED LIST (RL) PLANTS OF GEORGIA

Churgulia-Shurgaia M.- Academic Doctor of Biology, Associate professor
Tavartkiladze K.- Academic Doctor of Biology

Key words: Georgia, Mycobiota, Red List, microfungi

Abstract

The paper deals with 27 species of fungi first recorded with Red List (RL) species of plants (Astragalus caucasicus, Astragalus sosnowskyi, Astragalus microcephalus, Berberis iberica,Crataegus pontica, Ruscus ponticus) from Georgia**.**

Mycobiota of the Red Book trees and shrubs, with few exceptions, has not been the subject of a special study so far. At the same time, registration of species composition of mycobiotic fungi of trees and shrubs has great importance for studying fungi diversity.The novelty includes both fundamental and applied issues.

Коричневый мраморный клоп (*Halyomorpha halys* Stal.) вредитель плодовых, лесных и декоративных деревьев в Азербайджане

Мамедов З.М.
Институт Зоологии НАН Азербайджана, Баку

Реферат

Отмечено, что за последние годы (2016-2018) культивирования плодовых, лесных и деко-ративных деревьев к ним приспособилось много различных насекомых, обитающих на них и наносящих тем самым огромный ущерб, приостанавливая их развитие и снижая урожай плодов. Среди насекомых занимает веду-щее положение опасных вредителей и постоянно наносит значительный ущерб сельскохозяйственным культурам. Установлено, что среди опасных вредителей коричневый мраморный клоп (*Halyomorpha halys* Stal.) является серьёзным сельскохозяйственным вредителем в Азербайджане.

При изучении установлено, что тело мраморного клопа грушевидной формы, слегка уплощённая длиной 12-16 мм. Окраска коричневая, спинка и голова имеют чередующиеся тёмные и светлые пятна, мраморный оттенок. На последних двух сегментах усиков белые полоски. Ноги коричневые, также с белыми полосами.

выяснено, что основным врагом является паразитическая оса *Trissolcus japonicas,* обитающая в естественном ареале клопа в Китае и Японии. По данным автора вид ос паразитирует на яйцах клопа. В настоящее время в США ведутся исследования по интродукции ос *Trissolcus*. Нами не обнаружены естественные враги коричневого клопа.

Brown marmorated sting bug (*Halyomorpha halys* Stal.) the pest of orchard, forest and decorative trees in Azerbaijan

Mamedov Z.M.

Abstract

The brown marmorated sting bug is the crop pest which especially damages walnut trees in Azerbaijan.

საქართველოს ბაზრის სეგმენტში არსებული მზესუმზირის ნედლეულისა და საკვები ცხიმზეთების პროდუქტიულობა

გიორგი დანელია - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,
თამარ ფალავანდიშვილი - ტექნიკის აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: ცხიმზეთები, მზესუმზირა, ექსპერტიზა, ბიოქიმიური პარამეტრები, ბიოლოგიური სრულფასოვნება, ეკოლოგიური სისუფთავე.

რეფერატი

ეკოქიმიური ექსპერტიზის საფუძველზე შესწავლილია საქართველოში (ივერიის ბარი) გავრცელებული მზესუმზირის ნედლეულის მინერალური და ბიოქიმიური შედგენილობა, ასევე ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოებული საკვები ცხიმზეთების პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რის საფუძველზეც დადასტურდა მათი იდენტიფიკაცია სტანდარტის დიაპაზონთან, თუმცა მათ შორის ხარისხობრივი მაჩვენებლები განსხვავებულია.

Productivity of sunflower raw material and food oils in the Georgian market segment

Giorgi Danelia-Academic doctor of Agriculture,
Tamar Palavandishvili-Academic Doctor of technical

Key words: fats, sunflower, expertise, biochemical parameters, biological fullness,

Abstract

